ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №854052

ნომერი: AR1151561

თარიღი : 02.08.2013

გაცემის თარიღი : 19.08.2013

გაცნობის თარიღი : 21.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკი ხასია პ/ნ 58001003802
- თბილისი III მასივი IX კვ. კორ. 5 ბ. 37

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ,,კემხელი" კოდი: 249263327

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

შპს „კემხელი“–ს დირექტორმა ბესიკ ხასიამ 2013 წლის 02 აგვისტოს #AR1151561 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და

საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით ქ. თბილისში, კაიროს ქ. #4–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.19.34.001.009; ფართობი: 2622.00 კვ.მ.) ავტოსერვისის, საწყობისა და ანგარის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #882013352182, მომზადების თარიღი: 30.07.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013352182, მომზადების თარიღი: 26.07.13) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 2675.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.19.34.001.019, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 2675.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.19.34.001.019;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882013352182, მომზადების თარიღი: 30.07.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013352182, მომზადების თარიღი: 26.07.13, საკადასტრო კოდი: #01.19.34.001.019);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 26 მარტის #578479 გადაწვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.